ქალთა მონაწილეობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებასა და ეკონომიკურ საქმიანობაში

2022

კვლევის ჩატარება შესაძლებელი გახდა
ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერით
USAID-ის სააგენტოს მეშვეობით

(კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ფონდ „სოხუმს“
და, შესაძლოა, არ გამოხატავდეს USAID-ის პოზიციას)

ქალთა მონაწილეობა საზოგადოებრივ და
პოლიტიკურ ცხოვრებასა და ეკონომიკურ საქმიანობაში -
არსებული ბარიერები და შესაძლებლობები 3

შესავალი 3

ნაწილი I. კვლევის მეთოდოლოგია და
დემოგრაფიული მონაცემები 6

ნაწილი II. ქალის მონაწილეობა საზოგადოებრივ და
პოლიტიკურ ცხოვრებაში 7
2.1. ქალისა და მამაკაცის როლი ოჯახში და
საზოგადოებაში - საზოგადოების დამოკიდებულებები 7
2.2. ქალთა ჩართულობა საზოგადოებრივ და
პოლიტიკურ ცხოვრებაში 11
2.3. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში
ქალთა მონაწილეობის ბარიერები 14
2.4. საჯარო დისკუსიებში ქალთა მონაწილეობა და
ჩართულობის ყველაზე გავრცელებული ფორმები 18
2.5. ქალთა მონაწილეობის გაძლიერების
ხელშემწყობი ფაქტორები 19

ნაწილი III. ქალთა მონაწილეობა ეკონომიკურ საქმიანობაში 21
3.1. ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო პროგრამების
შესახებ ქალთა ინფორმირება და ინფორმაციის მიღების არხები 21
3.2. ეკონომიკურ პროგრამებზე ხელმისაწვდომობის ბარიერები 23
3.3. მოსახლეობისთვის პრიორიტეტული ბიზნეს სფეროები და
ეკონომიკური საქმიანობის ხელის შემწყობი ფაქტორები 27

ნაწილი IV. დასკვნა 29

ნაწილი V. რეკომენდაციები 30

ქალთა მონაწილეობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებასა და ეკონომიკურ საქმიანობაში - არსებული ბარიერები და შესაძლებლობები

ეკატერინე გამახარია

ქალთა ფონდი „სოხუმის“

თბილისის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი

შესავალი

ქვეყნის დემოკრატიის ერთ-ერთ საზომს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობა და მათი უფლებების დაცვის ხარისხი წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ, საერთაშორისო ვალდებულებათა შესაბამისად, პოლიტიკური თუ საკანონმდებლო რეფორმების გატარების გზით არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა გენდერული თანასწორობის, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში ქალთა ხელმისაწვდომობის ხელშესაწყობად, ქალთა არსებითი მონაწილეობის უზრუნველყოფა, რაც მათი ჩართულობის შედეგად პოლიტიკაზე და საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ზეგავლენის მოხდენას და არსებული პრობლემების აღმოფხვრას გულისხმობს, საქართველოში კვლავ უდიდეს გამოწვევად რჩება.

საპარლამენტთაშორისო გაერთიანების 2022 წლის ივლისის მონაცემებით, საქართველო 185 ქვეყნიდან 123-ე ადგილზეა ეროვნულ პარლამენტებში ქალების წარმომადგენლობის თვალსაზრისით.[1] გლობალური გენდერული უთანასწორობის 2021 წლის ანგარიშის თანახმად, 156 ქვეყნიდან საქართველო 49-ე ადგილს იკავებს. იგივე ანგარიშით, ქალების პოლიტიკური მონაწილეობის მიხედვით მე-60 ადგილზეა, ხოლო ეკონომიკურ საქმიანობაში შესაძლებლობების თვალსაზრისით - 64-ე ადგილზე.[2] საქართველოში ხელისუფლების აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოში გენდერული განაწილება კვლავ საკმაოდ არათანაბარია. საქართველოს მთავრობაში 12 მინისტრს შორის მხოლოდ ორია ქალი (8%).[3] 2020 წლის საარჩევნო რეფორმის შედეგად, გენდერული კვოტების შემოღებამ გარკვეულწილად გააუმჯობესა საკანონმდებლო ორგანოში ქალების კომპოზიცია, როგორც ეროვნულ, ისე მუნიციპალურ დონეზე. 2020 წელს საქარ-

1 საპარლამენტთაშორისო გაერთიანება (Inter-Parliamentary Union), 2022, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე) https://data.ipu.org/women-ranking?month=7&year=2022

2 გენდერული უთანასწორობის ყოველწლიური ანგარიში, 2021, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, ხელმისაწვდომია, გვ. ხელმისაწვდომია 197 https://www3.weforum.org/docs/WEF_GGGR_2021.pdf

3 2022 წლის ივლისის მონაცემების თანახმად

თველოს პარლამენტში ქალი პარლამენტარების რაოდენობამ 19,3%-მდე იმატა 2016 წელთან (14,8%) შედარებით,[4] ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალების რაოდენობამ 2010 წელთან (11.1%) შედარებით ორჯერ გაიზარდა და 23,74% შეადგინა. NDI-ს ანგარიშის თანახმად, პროპორციული სისტემით არჩეული კანდიდატების 31,4% ქალია. სავალდებულო გენდერული კვოტების განხორციელების ხარჯზე მიღწეული გარკვეული პროგრესის მიუხედავად, პროპორციული სიების მიღმა ქალთა რაოდენობა საკმაოდ მცირეა. ახალარჩეული 64 მერიდან მხოლოდ 3 არის ქალი (4,7%), ხოლო 664 მაჟორიტარი საკრებულოს წევრიდან - 45 (6,8%).[5]

გარდა ამისა, საზოგადოებაში კვლავ ღრმადაა გამჯდარი სტერეოტიპული შეხედულებები და კულტურული დამოკიდებულებები ქალის როლზე საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს ქალის მდგომარეობასა და პოზიციას ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე. მაგალითად, ბიჭების და გოგონების აღზრდის სხვადასხვა მოდელი, გენდერულად სტერეოტიპული მოლოდინები ქალისა და მამაკაცის მიმართ, ოჯახში საქმის არათანაბარი განაწილება გავლენას ახდენს ქალის ჩართულობის და მონაწილეობის ხარისხზე საჯარო სივრცეში. საოჯახო საქმეები, რაც უმეტესწილად ქალის პასუხისმგებლობად მიიჩნევა (ბავშვების აღზრდა, დალაგება, საჭმლის მზადება და ოჯახის წევრების მოვლა) ქალებს მამაკაცებზე უფრო ხშირად უწევთ არჩევანის გაკეთება კარიერასა და ოჯახს შორის, რაც უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ასპარეზზე მათი ჩართულობის ხარისხზე. ამასთანავე, ის ფაქტი, რომ ქალები უფრო ხშირად არიან გენდერული ძალადობის მსხვერპლნი ოჯახში, სამუშაო ადგილებსა თუ საზოგადოებაში, არა მარტო ავიწროვებს და ჩაგრავს ქალებს, არამედ უქრობს მათ განვითარების სურვილს, ამცირებს ამბიციებს, კონკურენტუნარიანობასა და პროდუქტიულობას.

ქალთა არსებითი მონაწილეობა საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში არა მარტო დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის და სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორია, ის საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და განვითარების განმსაზღვრელ წინაპირობას წარმოადგენს. ქალებს, მათი გენდერული როლებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, რიგი საკითხების მიმართ განსხვავებული ხედვა და მიდგომა აქვთ. ქალები მეტ ყურადღებას ამახვილებენ ისეთ საკითხზე, როგორიცაა ქალთა მიმართ ძალადობა, მის აღმოსაფხვრელად გასატარებელი აუცილებელი პრევენციული ზომები და მასზე რეაგირების გზები. კარგად ესმით

---

4 ქალი და კაცი საქართველოში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021, გვ 117, ხელმისაწვდომია https://www.geostat.ge/media/41854/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98–2021.pdf

5 არჩევნების შეფასების გრძელვადიანი მცირე ზომის მისია საქართველოს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, არჩევნების შეფასების ანგარიში 1 სექტემბერი - 5 ნოემბერი, 2021, NDI, ხელმისაწვდომია https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia%202021%20Limited%20Long%20Term%20Election%20Assessment%20Mission%20Report%20GEO–0.pdf

მარტოხელა დედების პრობლემები, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების აუცილებლობა და ის წინაღობები, რაც მათ აფერხებთ არსებული ეკონომიკური პროგრამებისადმი ხელმისაწვდომობაში. ქალები გრძნობენ მათ ირგვლივ არსებული ეკოლოგიური, ასევე ინფრასტრუქტურული პრობლემების მათ ცხოვრებაზე ნეგატიურ გავლენას. ყველა აღნიშნულ საკითხს მკაფიო გენდერული განზომილება აქვს და მათი მოგვარება მოითხოვს ქალთა უპირობო ჩართულობას და მათი ხედვის ინტეგრირებას საკანონმდებლო საქმიანობაში, ეროვნული, ადგილობრივი თუ საერთაშორისო პოლიტიკის შემუშავებაში.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ქალთა ფონდის „სოხუმის“ მიერ **USAID-ის სააგენტოს** მიერ მხარდაჭერილი პროექტის „განხეთქილების დაძლევა - ხალხთაშორისი ინიციატივები კონფლიქტის მოსაგვარებლად“ ფარგლებში, ექვს სამიზნე მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევის კონსოლიდირებულ მონაცემთა ანგარიშს, რომელშიც ასახულია საზოგადოების დამოკიდებულება ქალთა მონაწილეობის მიმართ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ეკონომიკურ საქმიანობაში.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის დამოკიდებულებების შესწავლა ქალის მონაწილეობის მიმართ, როგორც პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასევე ეკონომიკურ საქმიანობაში. ყურადღება გამახვილდა საზოგადოებაში გაბატონებულ შეხედულებებსა და სტერეოტიპებზე ქალის როლის და მდგომარეობის შესახებ, ასევე, ქალის არსებითი მონაწილეობის შემაფერხებელ ბარიერებსა და ხელის შემწყობ ფაქტორებზე.

კვლევის შედეგად გამოვლენილი მიგნებები და მათზე დაყრდნობით შემუშავებული რეკომენდაციები საფუძვლად დაედება როგორც ფონდი „სოხუმის“ წარმომადგენელთა, ასევე ექვს სამიზნე მუნიციპალიტეტში ადგილობრივ თემებში მცხოვრები ქალი და ახალგაზრდა ლიდერების მიერ განსახორციელებულ ადვოკატირების კამპანიას.

ნაწილი I. კვლევის მეთოდოლოგია და დემოგრაფიული მონაცემები

მეთოდოლოგია: მონაცემთა შეგროვების პროცესში მონაწილეობდა ფონდი „სოხუმის“ მიერ გადამზადებული ექვსი სამიზნე მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თემის 90 ქალი და ახალგაზრდა ლიდერი.

კვლევა ჩატარდა **რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების** გამოყენებით.

რაოდენობრივი კვლევისთვის შემუშავდა კითხვარი/ანკეტა, რომელიც, ძირითადად, შედგებოდა დახურული შეკითხვებისგან. **ანკეტირება** განხორციელდა ონლაინ ფორმატით, რომლის დროსაც გამოიკითხა **965 რესპონდენტი.**

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა ფოკუსური ჯგუფური დისკუსიის ტექნიკა და ჩაღრმავებული ინდივიდუალური ინტერვიუ, წინასწარ შემუშავებული სტრუქტურირებული კითხვარი. **საერთო ჯამში ჩატარდა 24 ფოკუს-ჯგუფი და 24 ჩაღრმავებული ინტერვიუ,** რომელშიც, ძირითადად, ჩაერთნენ ადგილობრივი თვითმმართველობის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პროფესიული ჯგუფები, სხვადასხვა სფეროს ექსპერტები.

თვისებრივ კვლევაში საერთო ჯამში მონაწილეობა მიიღო **151 ადამიანმა**, რომელთაგან **124** იყო **ქალი, ხოლო 27 - კაცი.** მთლიანობაში კვლევამ მოიცვა **1116 ადამიანი: 706 ქალი** და **410 კაცი,** მათ შორის: დევნილები, ადგილობრივები, სოციალურად დაუცველი და შშმ პირები, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედები, პედაგოგები, ექიმები, მეწარმეები, თემის ლიდერები, სტუდენტები, პენსიონერები, ახალგაზრდები, ადგილობრივი ექსპერტები და საზოგადოების სხვა ჯგუფები.

კვლევამ მოიცვა დასავლეთ საქართველოს 2 რეგიონის - **იმერეთის და სამეგრელოს ექვსი -** ქუთაისის (გამოკითხულთა საერთო რაოდენობიდან - 16,2%), წყალტუბოს (16,9%), ხონის (15,5%), ზუგდიდის (18,8%), სენაკის (16,6%), წალენჯიხის (16,1%)- **მუნიციპალიტეტების მოსახლეობა**. რესპონდენტთა შერჩევა მოხდა განსხვავებული სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების გათვალისწინებით, რაც მონაცემების განზოგადების საშუალებას იძლევა.

კვლევა ჩატარდა 2021 წლის დეკემბერი-2022 წლის იანვრის განმავლობაში.

კვლევის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები:
სქესი: რესპონდენტთა უმრავლესობას (582 პირი) - **60,3%-ს ქალები** წარმოადგენდნენ, ხოლო **39,7%-ს** (383 პირი) **–კაცები.**
ასაკი: ანკეტირების გზით გამოკითხულთა ასაკობრივი ზღვარი მერყეობდა 18 წლიდან 65 წლის ზევით, რომელთაგან უმრავლესობა - 34,3% - 18-30 წლამდე ასაკის იყო; 33% - 31-45 წლამდე; 18.3% - 45-65 წლამდე, 8,3% - 56-54 წლამდე და შედარებით მცირე ნაწილს, კერძოდ კი 6.1%-ს 65 წელს გადაცილებული ქალები წარმოადგენდნენ.
გამოკითხულთა **59,6% ადგილობრივი მოსახლეობაა,** ხოლო 35,5% - **დევნილი**. აქვე აღსანიშნავია, რომ **ზუგდიდის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში გამოკითხული ადგი-**

ლობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში[6] მცხოვრები ქალები და კაცები იყვნენ, რაც რესპონდენტთა საერთო რაოდენობის დაახლოებით მესამედს შეადგენს.

ოჯახური მდგომარეობა: რესპონდენტების ნახევარზე ოდნავ მეტი დაოჯახებულია - 56.3%, დაუოჯახებელია 28,2%, განქორწინებული - 5.9%, ქვრივი - 5.7%, არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება 2,1%.

განათლება: გამოკითხულთა ნახევარზე მეტი უმაღლესი განათლების მქონეა - 53,4%, საშუალო განათლება აქვს 23,2% რესპონდენტს, პროფესიული განათლება - 17.5%-ს, ხოლო არასრული საშუალო - 5.9%-ს.

დასაქმება: რესპონდენტთა შორის შედარებით მეტი ხვედრითი წილი აქვს დასაქმებულებს - 55,1%, უმუშევარია 19.2%, სტუდენტი - 10.4%, დიასახლისი - 9.2%, ხოლო პენსიონერი - 6,1%.

ნაწილი II. ქალის მონაწილეობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში

2.1. ქალისა და მამაკაცის როლი ოჯახში და საზოგადოებაში - საზოგადოების დამოკიდებულებები

ოჯახსა და საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის როლის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს **მოსახლეობაში მყარად დამკვიდრებული და გაბატონებული სტერეოტიპები,** რომლებიც მკაფიოდ მიჯნავენ ქალისა და მამაკაცის პოზიციას ოჯახში და ნათლად მიუთითებენ მამაკაცის უპირატესობას ქალთან მიმართებაში საყოფაცხოვრებო პასუხისმგებლობის განაწილების, ოჯახის ფინანსურ კეთილდღეობაზე ზრუნვის და გადაწყვეტილების მიღების სადავეებთან პოზიციონირების თვალსაზრისით.

რაოდენობრივი მონაცემების თანახმად, ქალების ძირითად ფუნქციად **სახლსა და ოჯახზე ზრუნვა** (შემთხვევათა 78,9%), **შვილების აღზრდა** (შემთხვევათა 66%), **სახლის დალაგება და საჭმლის მომზადება** (შემთხვევათა 30,9%) განიხილება. მაშინ. როცა **საოჯახო ფინანსების განკარგვის (15,6%), საკუთარი და საოჯახო საჭიროებისათვის ფულის გამომუშავების (26,4%) და საზოგადოებრივ და გადაწყვეტილების მიღების სადავეებთან წამყვანი პოზიციის დაკავების ფუნქციას (21,6%)** გაცილებით ნაკლებად აკისრებენ. აქვე ნიშანდობლივია, რომ საკმაოდ მაღალი წილი ერგო პასუხს: **„ქალმა უნდა ისწავლოს კარიერული განვითარებისთვის“** (შემთხვევათა 42,7%), რასაც უმეტესწილად რესპონდენტთა 18-30 წლამდე ასაკის წარმომადგენლები უსვამდნენ ხაზს (58,6%).

---

6 წალენჯიხის მუნიციპალიტეტში გამოიკითხა შემდეგი სოფლების მცხოვრებლები: პალური, ფახულანი, წყოუში და ლია. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში: ხურჩა, ორსანტია, კოკი, ანაკლია, დიდი ნეძი, ცაიში და ორული.

განსხვავებით ქალის როლისგან, საპირისპირო პროპორციულობით განაწილდა **მამაკაცის როლი ოჯახსა და საზოგადოებაში.** გარდა **სახლსა და ოჯახზე ზრუნვის ვალდებულებისა, რაც გამოკითხულთა მიერ ქალისა და მამაკაცის მეტნაკლებად თანაბარ ფუნქციად განიხილება** (შემთხვევათა 67,6%), საზოგადოება მაინც მკაფიოდ დომინანტურ როლს და ვალდებულებას აკუთვნებს მამაკაცს ფულის გამომუშავებაზე (66,8%) და ოჯახში ფინანსური რესურსების განკარგვაზე (37,6%). მაშინ, როცა **საყოფაცხოვრებო და საოჯახო საქმიანობას - სადილის მზადება, დალაგება - პრაქტიკულად არ განიხილავს მამაკაცის ფუნქციად.** საგულისხმოა, რომ რესპონდენტთა ის მცირე ნაწილი, რომელიც საჭმლის მზადებას და დალაგებას მამაკაცის ფუნქციად მიიჩნევს (გამოკითხულთა 4,4%), უპირატესად 18-30-მდე და 31-45 მდე ასაკის კაცები არიან (42 გამოკითხულიდან - 27 კაცია), რაც მიუთითებს ახალგაზრდა და საშუალო ასაკის თაობაში, ტრადიციული გენდერული სტერეოტიპების მსხვრევის გარკვეულ ტენდენციაზე, განსაკუთრებით კაცებში. საგულისხმოა, რომ საზოგადოება **შვილების აღზრდის პასუხისმგებლობას მამაკაცს ქალებზე ორჯერ ნაკლებად აკისრებს** (შემთხვევათა 37,6%). მამაკაცებთან შესამჩნევად მაღალია მაჩვენებელი - „**გარე საფრთხეებისგან ოჯახის დაცვა** (შემთხვევათა 47.1%), როცა ქალს ამ ფუნქციას გამოკითხულთა მხოლოდ 8,8% უჩენს (დეტალურად იხილეთ დიაგრამა №1 და №2).

დიაგრამა №1



დიაგრამა №2



თვისებრივი კვლევის მონაცემები ამყარებს საზოგადოებაში არსებულ გენდერულ სტერეოტიპებს ქალისა და მამაკაცის როლის შესახებ, რომელშიც იკვეთება ქალებთან შედარებით ოჯახში მამაკაცის დომინანტური როლის და ქალის „ორმაგი შრომის“ ნორმად აღქმა - ***„მამაკაცი ოჯახის ხერხემალია“, „მამაკაცი შემომტანია“, ხოლო ქალის პირველადი ფუნქცია „ბავშვების აღზრდა და ოჯახზე ზრუნვაა“.*** მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში მონაწილე კაცები უშვებენ ქალის საზოგადოებრივ ასპარეზზე გასვლას, მაინც მიიჩნევენ, რომ ეს არ უნდა აზარალებდეს ოჯახს - ***„ქალი შესაძლებელია, დადიოდეს სამსახურში, დატვირთული იყოს საზოგადოებრივი საქმეებით, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის თანაბრად გაართმევს თავს საშინაო და საზოგადოებრივ საქმიანობას“*** - (მამაკაცების ჯგუფთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), რადგან ***„ქალი უნდა იყოს სწორედაც რომ სამზარეულოში, თუ ძალიან ჭკვიანია, საზოგადოებაშიც, მაგრამ მაინც უფრო სამზარეულოში“*** (მ.ა., მამაკაცი, 45 წლის, ხონის მუნიციპალიტეტი), წინააღმდეგ შემთხვევაში, ***„გამოდის, რომ კაცებმა უნდა გააკეთონ „ქალის საკეთებელი“ და მერე მათი [მამაკაცების] უფლებები იქნება დასაცავი?!“*** (მამაკაცების ჯგუფური დისკუსია, სენაკი). ფოკუს-ჯგუფის დისკუსიაში მონაწილე ქალები მიიჩნევენ, რომ ***„საზოგადოება ქალს უფრო მეტ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს აკისრებს, ხოლო მამაკაცს მეტ უფლებებს ანიჭებს“,*** რაც მათი აზრით, არასამართლიანია და აუცილებლად უნდა შეიცვალოს.

დისკუსიისას ხაზი გაესვა **„განათლების“ გავლენას სტერეოტიპულ შეხედულებებზე.**

რესპონდენტთა ნაწილი ხაზს უსვამდა, რომ განათლება ყოველთვის არ გულისხმობს სტერეოტიპებისგან თავისუფლებას, რადგან - ***„რეალიზებული ქალბატონებიც ხშირად აჟღერებენ პოზიციას, რომ „მამაკაცის გადაწყვეტილება უპირატესია“***, თუმცა ამავე დროს ხაზს უსვამდნენ, რომ ეს, ძირითადად, **ძველი თაობის ქალების მენტალიტეტისთვის არის დამახასიათებელი.**

თვისებრივ კვლევაში ნათლად გამოიკვეთა **ახალგაზრდა თაობის გენდერული სტერეოტიპებისგან განთავისუფლების ტენდენცია** - ***„პრაქტიკაში ბევრი მინახავს, თუნდაც ჩემს მიერ ჩატარებულ ტრენინგებზე, რომ ახალგაზრდა თაობის დიდი ნაწილი, რომელსაც მიღებული აქვს სამოქალაქო განათლება ან გავლილი აქვს ტრენინგები, საგრძნობლად იცვლიან მიდგომებს... ისინი ხვდებიან, რომ სხვისი გავლენით კი არა, მაგალითად, რაც მამას უნდა, არამედ საკუთარი სურვილის და ნების მიხედვით უნდა მოიქცნენ“*** (სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენელი, აქტივისტი, 42 წლის, მამაკაცი, ზუგდიდი); ***„პატარა ასაკის ვარ [21 წლის], დამოუკიდებლად ვცხოვრობ და მაშინ, როცა მარტო ცხოვრობ, საზოგადოებისთვის ჭორაობის ობიექტი ხდები, რადგან მიაჩნიათ, რომ ოჯახთან უნდა ცხოვრობდე ქალი. ქალი როდესაც აქტიურია, რაღაცას აკეთებს, ჩემთვის ეს ჩვეულებრივია... ვფიქრობ, ჩვენს ხელშია ჩვენი მომავალი, განურჩევლად სქესისა“*** (ლ.მ., ქალი, რეპეტიტორი, 21 წლის, დევნილი გალიდან, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).

დისკუსიისას გამოიკვეთა, რომ მკვეთრად განსხვავდება გენდერული როლების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება **სოფელში და ქალაქში.** რესპონდენტები ხაზს უსვამდნენ, რომ, გარდა იმისა, რომ ქალაქში ქალს საკუთარი თავის რეალიზების მეტი შესაძლებლობა აქვს, ქალაქში ცხოვრება თავად მოითხოვს მისგან აქტიურობას, რაც, თავის მხრივ, ბუნებრივად განაპირობებს მის გაძლიერებას და, გარკვეულწილად, ტრადიციული გენდერული სტერეოტიპებისგან გათავისუფლებას, დროისა თუ როლების თანაბარ გადანაწილებას და მართვას - ***„ქალაქში ქალის მდგომარეობა მკვეთრად განსხვავებულია სოფლისგან... ქალაქში ახალგაზრდებმა თუ არ იმუშავეს მთელი დღე, საკუთარი თავის ან ოჯახის რჩენა შეუძლებელია... ხშირად შეხვდები ოჯახებს, სადაც გარკვეულ დრომდე მუშაობს ქალი, იმის შემდეგ კაცი და თუ შვილები ჰყავთ, დრო და მოვალეობები განაწილებული აქვთ... სოფლებში კი კვლავ მძლავრია მენტალიტეტი, რომ „კაცმა შვილს როგორ უნდა მოუაროს, ეს ქალის მოვალეობაა“*** (მ.პ., პედაგოგი, დევნილი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი).

მიუხედავად იმისა, რომ გენდერული სტერეოტიპები ჯერ კიდევ არსებობს, რაოდენობრივ კვლევაში დებულებების შეფასებებმა გამოკვეთეს ქალისა და მამაკაცისთვის დადგენილი როლების გადახედვის მზაობა. აბსოლუტური უმრავლესობა (83,4%) ეთანხმება დებულებას, რომ - **„ქალებს უნდა ჰქონდეთ სიტყვის უფლება ოჯახსა და საზოგადოებაში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე“ (83,4); „ქალებმა ოჯახში ფინანსური საკითხები თანაბარ პირობებში უნდა განიხილონ“** – 80%, **„ქალი და მამაკაცი თანაბრად უნდა მონაწილეობდნენ საოჯახო საქმეებში** (სახლსა და შვილებზე ზრუნვა)“ - 81,7%; დებულებას **„დაქორწინებულ ქალს შეუძლია აირჩიოს სახლის გარეთ მუშაობა ქმრის თანხმობის გარეშე“** - ეთანხმება სრულად 47.5%, ნაწილობრივ - 28%, ხოლო არ

ეთანხმება 19,7%. საგულისხმოა, რომ დებულებას **„ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტის ან უთანხმოების შემთხვევაში, საბოლოო გადამწყვეტი სიტყვა ქმარზეა“** - ეთანხმება გამოკითხულთა 23,9%, **არ ეთანხმება 43,9%.**

2.2. ქალთა ჩართულობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა ჩართულობის გაზრდის მიმართ თვისებრივი კვლევის მონაწილეთა აზრები გაიყო.

ერთი ნაწილი (ძირითადად, ქალები) აღნიშნავს, რომ ქალების ჩართულობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და განვითარებისთვის, არსებული საჭიროებების უკეთესად განსაზღვრისა და მათზე რეაგირებისთვის, რადგან ქალს აქვს განსხვავებული ხედვა პრობლემის მიმართ და განსხვავებულად გრძნობს არსებული პრობლემების ზეგავლენას საკუთარ ცხოვრებაზე - ***„ქალთა ჩართულობის გაზრდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი კი არა, აუცილებელია. ყველა ძლიერ და განვითარებულ ქვეყანაში ქალთა ჩართულობა პოლიტიკაში, სხვადასხვა მნიშვნელოვან თანამდებობაზე, ელჩების პოზიციაზე მაღალია, რადგან ქალის გაძლიერება ავტომატურად ქვეყნის გაძლიერების და ბევრი სოციალური პრობლემის მოგვარების წინაპირობაცაა“*** (მ.გ., ქალი, 49 წლის, დიასახლისი, წყალტუბო).

„ქალებს უფრო კარგად ესმით არსებული პრობლემები და განსხვავებულად გრძნობენ ამ პრობლემების ზეგავლენას საკუთარ ცხოვრებაზე. მაგ., კაცს შეიძლება იმდენად არ აწუხებდეს, რომ ქალს ოჯახში არ აქვს წყალი, რადგან ის არ რეცხავს სარეცხს და ჭურჭელს, არ ალაგებს სახლს“ - (ტ.ს., ქალი, 29 წლის, მეწარმე, სოფელი წყოუში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი).

დისკუსიის დროს ხაზი გაესვა ისეთ თვისებებს, რომლებიც ქალების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში წარმატების ხელშემწყობ ფაქტორადაც შეიძლება განიხილებოდეს - ***„ქალები ნაკლებად აგრესიულები, მშვიდობისმოყვარეები არიან და კონფლიქტის მოგვარებას, ძირითადად, მოლაპარაკებით ცდილობენ“*** (ფოკუს-ჯგუფი, ხონი).

რესპონდენტთა მეორე ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ აღიარებს ქალის ალღოს და პოტენციალს პოლიტიკურ ასპარეზზე, მას მაინც „ქალის საქმედ“ არ მიიჩნევს და არ ემეტება ქალი პოლიტიკისთვის - ***„მე მომწონს ქალები პოლიტიკაში, არავიზე ნაკლები ინტელექტი აქვთ, მინდა თუ არა, რომ დედა ან მეუღლე იყოს პოლიტიკაში, არ მინდა, რადგან მირჩევნია, რომ ჩემი ოჯახის ქალბატონი იყოს მშვიდ გარემოში და არ დაუპირისპირდეს არავის“*** (ბ.ბ., მამაკაცი, 35 წლის, საკრებულოს წევრი, დევნილი, ხონის მუნიციპალიტეტი).

მესამე ნაწილი (ძირითადად, მამაკაცები) მკაფიოდ გამოხატავს **ჰორიზონტალური გენდერული სეგრეგაციის მიდგომებს** და მიჯნავს **„ქალურ“ და „მამაკაცის“ პროფესიებს** და მიიჩნევს, რომ ქალების ადგილი უფრო განათლებაში, ჯანდაცვასა და სოციალურ მომსახურებაშია.

ზოგიერთმა მამაკაცმა გამოთქვა მოსაზრება, რომ გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა მონაწილეობა აუცილებელია, თუმცა აღნიშნული უნდა მოხდეს არა კვოტირების, არამედ თავად ქალების მხრიდან მეტი აქტიურობის გზით - ***„საქართველოს კანონმდებლობამ დაარეგულირა ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში, მათ შორის თვითმმართველობის არჩევით ორგანოში და პარლამენტში. კვოტირებაა შემოსული კანონმდებლობით, მე ვიტყოდი, რომ ქალები მხოლოდ კვოტირებით შევიყვანოთ, ეს არ არის შედეგი. თვითონ ქალები უნდა იყვნენ მეტად აქტიურები და არა რომელიმე კონკრეტული პარტია წყვეტდეს, თუ ვინ უნდა შეიყვანოს სიაში“*** (ბ.ბ., მამაკაცი, 35 წლის, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ხონის დევნილთა საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი).

თვისებრივ კვლევაში მონაწილე ქალთა ნაწილი ხაზს უსვამდა, რომ ქალს დღეს საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა აქვს აღებული ოჯახის და ქვეყნის წინაშე და **მისი როლი საზოგადოებრივი კეთილდღეობის საქმეში უკვე საკმაოდ მაღალია, თუმცა არ ხდება ამის არც სათანადოდ გააზრება და არც დაფასება** - ***„საქართველოში ჩვენი ბიუჯეტის მთავარი წყარო ქალია. იმდენი ემიგრანტია, რომლებიც ფულს აგზავნიან. ქალი აკეთებს სახლში ძირითად სამუშაოს. ის, რომ ქალი არის მეორეხარისხოვანი, მხოლოდ საზოგადოებაში გაბატონებული აზრია. ქალები აკეთებენ ყველაფერს, მაგრამ საზოგადოება ამას არ აღიარებს“*** (ე.ბ., ქალი, 58 წლის, მცირე მეწარმე, სოფ. კოკი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).

ნიშანდობლივია, რომ რაოდენობრივი კვლევის თანახმად, გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ **ქალთა ჩართულობის გაზრდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანია - 83,1%.** აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა კვლევაში მონაწილე ქალთა 90% და მამაკაცთა 70%. ქალების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე მინაწილეობას **საჭიროდ არ მიიჩნევს** გამოკითხულთა **7,3%**, რომელთაგან უმრავლესობა 31-დან-55-მდე ასაკის მამაკაცია. 10,3% უჭირს პოზიციის დაფიქსირება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კითხვაზე, თუ **რატომ თვლიან მნიშვნელოვნად ქალის მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების სფეროში,** გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, **ქალი პოლიტიკას უფრო დაბალანსებულს, სოციალურად ორიენტირებულს** (55%) **და ქალთა პრიორიტეტულ და სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგებულს გახდის** (48,4%). კვლევის შედეგად ასევე გამოიკვეთა ქალის **დიპლომატიურობა** (36,8%) და **მოსახლეობაში სანდოობის მაღალი ხარისხი** - 23,3%, რაც დამატებით არგუმენტად სახელდება მათი საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ასპარეზზე ჩართვის აუცილებლობის ხაზგასასმელად (დეტალურად იხილეთ ცხრილი №1). საგულისხმოა, რომ გამოკითხულთა 10,8% არ ეთანხმება არცერთ ზემოთ ხსენებულ პასუხს და მათ შორის საშუალო ასაკის - 31-45 წლის მამაკაცები ჭარბობენ.

ცხრილი №1

რატომ არის მნიშვნელოვანი ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე, როგორც საზოგადოებრივ, ისე პოლიტიკურ ცხოვრებაში?	
	შემთხვევათა რაოდენობიდან %
ა) ქალი დააბალანსებს პოლიტიკას და გახდის მას უფრო სოციალურად ორიენტირებულს	55
ბ) ქალი მეტ ყურადღებას დაუთმობს ქალების სპეციფიკურ საჭიროებებსა და პრიორიტეტებს	48,8
გ) ქალი უფრო მეტი ნდობით სარგებლობს საზოგადოებაში	23,3
დ) ქალი უფრო დიპლომატიურია	36,8
ე) არ ვეთანხმები არცერთ მოსაზრებას	10,8

მიუხედავად იმისა, რომ **მოსახლეობის ცნობიერებაში ნელ-ნელა ჩნდება გენდერული თანასწორობის მიმართ მიმღებლობა,** პარადოქსულად გაიყო გამოკითხულთა პასუხები საზოგადოებაში გავრცელებულ აზრთან დაკავშირებით, ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე ქალის მონაწილეობასთან მიმართებაში. გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ საზოგადოებაში, ძირითადად, გავრცელებულია ორი მოსაზრება - **„ქალებს უნდა ჰქონდეთ ისეთივე შანსი, რომ აირჩიონ გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე, როგორც მამაკაცებს“** - 41,5%; **„მამაკაცები უფრო მეტად შეესაბამებიან პოლიტიკურ ცხოვრებას, ვიდრე ქალები** - 32,4%. პირველ მოსაზრებას უმეტესწილად ხაზს უსვამდნენ ქალები, ხოლო მეორეს 18-დან 45 წლამდე ასაკის კაცები. გამოკითხულთა 13,2% თვლის, რომ საზოგადოებაში კვლავ არის გავრცელებული აზრი, რომ **ქალის უპირველეს ფუნქციას ოჯახისა და შვილების მოვლა და არა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სარბიელზე პოზიციონირება წარმოადგენს** და ისიც, **რომ ქალები არ არიან კარგი ლიდერები** (3,8%).

საგულისხმოა, რომ, მიუხედავად საზოგადოებაში ჯერ კიდევ ღრმად ფესვგამჯდარი სტერეოტიპებისა, გამოკითხულთა უმრავლესობას **კარიერული წინსვლის სურვილი აქვს -** 73,5% (იხილეთ დიაგრამა №3), რაც პრაქტიკულად თანაბრად ნაწილდება ქალებსა (74%) და კაცებს (71%) შორის. ასაკობრივ ჭრილში კარიერული წინსვლის სურვილი, ძირითადად, 18-დან 45 წლამდე ასაკობრივმა კატეგორიამ დააფიქსირა. 7% აცხადებს, რომ კარიერული წინსვლა მისთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენს, ხოლო 5,9% უთითებს, რომ *ამის შესაძლებლობა არ აქვს,* მათ შორის უმრავლესობა ქალია (გამოკითხულ ქალთა საერთო რაოდენობიდან 6,4% და კაცთაგან მხოლოდ 5,2%), ხოლო სტატუსის მიხედვით აღნიშნულ პასუხს უმეტეს შემთხვევაში ხაზი გაუსვეს დევნილებმა.

დიაგრამა №3

გაქვთ თუ არა კარიერული წინსვლის სურვილი?



2.3. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის ბარიერები

არსებობს მრავალი დაბრკოლება, რაც აფერხებს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სარბიელზე ქალების უფრო აქტიურ პოზიციონირებას, რაც უმეტესწილად განპირობებულია საზოგადოებაში გაბატონებული კულტურულ-ტრადიციული და სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორებით.

თვისებრივი კვლევის დროს რესპონდენტებმა გამოკვეთეს შემდეგი ბარიერები:

- ***ოჯახური პასუხისმგებლობებისა და კარიერული ცხოვრების შეუთავსებლობა***

საოჯახო პასუხისმგებლობა ფართოდ აღიქმება ქალთა კარიერული წინსვლის ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად. საქართველოში, ტრადიციულად, ქალები უფრო მეტად არიან დაკავებულნი ოჯახური საქმიანობით (შვილების აღზრდა, სამზარეულოში ტრიალი, სისუფთავის დაცვა), რასაც ძალიან დიდი დრო მიაქვს. გარდა ამისა, როცა ქალები ამის პარალელურად მუშაობენ სხვადასხვა პოზიციაზე, სამსახურებში, კიდევ უფრო ნაკლები დრო რჩებათ დამატებითი საზოგადოებრივი აქტიურობისთვის.

ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახები, რომელთაც შემოსავლები საკმაოდ შეზღუდული აქვთ, ვერ ახერხებენ ქალის განთავისუფლებას ოჯახისა და საყოფაცხოვრებო ტვირთისგან, ხოლო ქალის მხარდაჭერის სახელმწიფო სოციალური

სერვისების უკმარისობა, მათ შორის ბავშვთა მოვლის მომსახურებები (ბაღების მოკლე სამუშაო დრო ან საზაფხულო ბაღების არარსებობა) ან მოუქნელი სამუშაო გრაფიკი ხელს უშლის ქალებს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვაში - ***„შვილების გაზრდაში არ მყავდა დამხმარე, არც ფინანსური საშუალება არ მქონდა, რომ ამეყვანა ვინმე, შესაბამისად, მომიწია ყველაფერთან ჩამოშორება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი თავის რეალიზება ვერ მოვახერხე“*** (ნ. გ., ქალი, 45 წლის, მცირე მეწარმე, სოფ. დიდი ნეძი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი). მამაკაცი რესპონდენტებიც ამყარებენ შეხედულებას, რომ ***„ქალმა, პირველ რიგში, ოჯახს უნდა მიხედოს“*** და მკაფიოდ მიჯნავენ ***„ქალის და კაცის საქმეს“***.

ქალი რესპონდენტები დისკუსიისას შეეხნენ **ქალის რეპროდუქციულ ფუნქციას და როლს, რომელიც დაუფასებელია** და დღემდე გამოიყენება საზოგადოებრივ და განსაკუთებით პოლიტიკურ ასპარეზზე ქალის მონაწილეობის მიმართ ნაკლები მხარდაჭერის და ოჯახთან მიჯაჭვის გამართლების ძირითად არგუმენტად, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავთ მას კარიერულ წინსვლაში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ქალების საჯარო და პირად ცხოვრებას შორის საზღვრები თანდათან მკრთალდება, საშინაო საქმე კვლავ ქალების ლეგიტიმურ სივრცედ აღიქმება, მაშინ როცა საჯარო სივრცე უპირატესად მამაკაცებთან ასოცირდება.

❖ *პოლიტიკის ხასიათი - ხისტი, „ბინძური“ და „უსამართლო“*

გამოითქვა მოსაზრება, რომ ქალისთვის პოლიტიკაში ჩართულობის **ბარიერი ზოგჯერ პოლიტიკის „ხასიათია“, რომელშიც ხშირად თამაშის წესები ძალიან ხისტი და უხეშია -** ***„მე, პირადად, არა მაქვს სურვილი, ვიყო პოლიტიკაში. ტელევიზორის ჩართვაც კი მეზიზღება და საზოგადოებრივი არხების ყურება, როგორი სიბინძურეა, ტყუილი, დაცინვა...“*** (ფ. შ., ქალი, 59 წ., ბაღის აღმზრდელი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).

დისკუსიისას რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ „პოლიტიკა ბინძურია“ და ხაზს უსვამდნენ „შავი“ პიარ ტექნოლოგიების, დაშინების უსამართლო პრაქტიკას, რაც, ერთი მხრივ, თავად ქალს უკარგავს მოტივაციას, ჩაერთოს პოლიტიკაში თამაშის უსამართლო წესების პირობებში, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთარი ოჯახის წევრების მხარდაჭერასაც აცლის - ***„მიუხედავად იმისა, რომ ვაღიარებ ქალის ინტელექტს და ალღოს, არ ვისურვებდი, ჩემი მეუღლე პოლიტიკაში აღმოჩნდეს... არ მინდა, დაუპირისპირდეს პოლიტიკურ სივრცეში არსებულ პრობლემებს და სიხისტეს“*** (მამაკაცების ფოკუს-ჯგუფი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).

ქალი რესპონდენტების მოსაზრებით, თვითონ ქალების გარკვეული ნაწილი თვლის, რომ ***„პოლიტიკა მათი საქმე არ არის“,*** რაც მამაკაცებს დამატებით ბერკეტს აძლევს თავიანთი უპირატესობის დასამტკიცებლად.

❖ *პოლიტიკის „კაცური“ მოდელი*

პოლიტიკურ ასპარეზზე მამაკაცთა დომინირება განაპირობებს „კაცური წესებით“ აღნიშნული სივრცის ორგანიზებას - ***„კაცებმა პოლიტიკაში საკუთარი „სამყარო“ შექმნეს და იქ თავს კომფორტულად გრძნობენ. მათ აქვთ საკუთარი ქცევის კოდექსი, საუბრობენ ერთ ენაზე და არ არიან დაინტერესებულნი ქალების ჩართვით, რომლებიც არღვევენ მათ ჩვეულ მდგომარეობას“*** (პოლიტიკოსი ქალი, ინდივიდუალური ინტერვიუ, თბილისი).

პოლიტიკის დღევანდელი მასკულინური მოდელი კონკურენციასა და დაპირისპირებას ეფუძნება, ხოლო ქალები, როგორც წესი, მსგავს გარემოს ემიჯნებიან.

აქტიური საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებისთვის დამახასიათებელი სამუშაო განრიგი არ არის მორგებული დასაქმებული მცირეწლოვანი შვილების დედების სპეციფიკურ მდგომარეობაზე. ქალები ძნელად აბალანსებენ ოჯახურ ცხოვრებას ისეთ მოთხოვნებთან, როგორებიც არის: მუშაობის გვიანი საათები, მოგზაურობა ქალაქგარეთ/საზღვარგარეთ. შესაბამისად, ისინი ან თავად იკავებენ თავს აქტიურობისგან, ან არ აქვთ ოჯახის მხარდაჭერა აქტიურ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე მონაწილეობის მისაღებად.

❖ *ფინანსური რესურსების ნაკლებობა*

შეზღუდული ეკონომიკური რესურსები აფერხებს ქალებს წინსვლასა და ლიდერული პოზიციების მოპოვებაში - ***„მასობრივი უმუშევრობისა და ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში, ბევრ დასაქმებულ ქალს ურჩევნია, დაკმაყოფილდეს იმით, რაც აქვს და არ სურს წავიდეს რისკზე და დაკარგოს უკვე არსებული მდგომარეობა, პოლიტიკური წინსვლის ძიებაში“*** (დ.ღ., 35 წლის, ქალი, სამოქალაქო აქტივისტი, ქუთაისი).

ფინანსური ბარიერი ხშირად წარმოიქმნება **საოჯახო საქმეების არათანაბარი გადანაწილების გამო,** რაც ქალს მეტ დროს ართმევს და უზღუდავს ფინანსების გამომუშავების შესაძლებლობას. თუ მეუღლე მატერიალურად უზრუნველყოფილია, ქალს ხშირად ავალდებულებენ, შინ დარჩეს და არ იფიქროს განვითარებასა და თვითრეალიზაციაზე, რადგან ***„ყველაფერი აქვს და მეტი რა უნდა უნდოდეს“.***

❖ *ქალთა არასაკმარისი სოლიდარობა*

ქალთა სოლიდარობის ნაკლებობა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა გადაწყვეტილების მიღების და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა აქტიური მონაწილეობისთვის. რესპონდენტთა ნაწილის აზრით, არიან ქალები, რომლებიც უკვე დამკვიდრდნენ პოლიტიკაში, თუმცა **არ გამოხატავენ საჭირო მხარდაჭერას გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარების მიმართ.** ასევე არსებობს ქალების კატეგორია, რომლებიც არ აძლევენ ხმას ქალ-კანდიდატებს, ან ჰკიცხავენ მათ გადადგმული ნაბიჯისთვის - ***„ერთ-ერთმა მეგობარმა ქალმა დააყენა კანდიდატურა სოფლის დეპუტატობაზე, რასაც სა-***

ზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან უარყოფითი რეაქცია მოჰყვა, მათ შორის ქალების მხრიდან - დაეტიოს სახლში და გაზარდოს შვილები, ხომ აქვს სამსახური, რა მისი საქმეა პოლიტიკა... ძლიერი ქალბატონია, თუმცა საზოგადოების შეხედულებები ნამდვილად აღმოჩნდა ხელის შემშლელი ფაქტორი" (ი.ჭ., ქალი, 36 წლის, დიასახლისი, ხონი).

ასევე ხაზი გაესვა, რომ საზოგადოება და ქალები თავად **უფრო კრიტიკულები და მომთხოვნი არიან ქალების მიმართ** და მათგან უფრო მეტი მოლოდინი აქვთ, ვიდრე მამაკაცი პოლიტიკოსებისგან ან ლიდერებისგან.

რაოდენობრივი მონაცემების თანახმად, ქალის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობას უმეტესწილად ხელს უშლის **შესაბამისი კვალიფიკაციის** (შემთხვევათა 47,5%) **და განათლების არქონა** (29,8%); **საოჯახო და ბავშვის მოვლის ვალდებულებები** (შემთხვევათა 38,7%); **არასაკმარისი ფინანსები პოლიტიკაში ჩასართავად** - 32,3%; **ხანგრძლივი და მოუქნელი სამუშაო დრო** (31,3%) და **დიდი კონკურენცია** - 27,2% (დეტალურად იხილეთ ცხრილი №2). გამოკითხულთა 20%-მა კი მიუთითა, რომ არ სურთ აქტიურ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე გასვლა, რაც პრაქტიკულად თანაბრად განაწილდა კვლევის მონაწილე ქალებსა და კაცებს შორის. ასაკობრივ ჭრილში, აქტიური მონაწილეობით ყველაზე ნაკლებად არიან დაინტერესებულნი ახალგაზრდა და საშუალო ასაკის რესპონდენტები.

ცხრილი №2

რა გიშლით ხელს, იყოთ აქტიურად ჩართული საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში?	%
ა) შესაბამისი კვალიფიკაციის ნაკლებობა	47,5
ბ) პასუხისმგებლობა ოჯახზე და შვილებზე	38,7
გ) ფინანსური საშუალებების არარსებობა	32,3
დ) ხანგრძლივი სამუშაო დრო	31,3
ე) შესაბამისი განათლების ნაკლებობა	29,8
ვ) დიდი კონკურენცია	27,2
ზ) ლიდერის თვისებების ნაკლებობა	25,1
თ) საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის სურვილი არ მაქვს	20
ი) გენდერული სტერეოტიპები საზოგადოებაში, რომ ქალების ადგილი არ არის წამყვან პოზიციებზე	15,5
კ) მხარდაჭერის ნაკლებობა პარტნიორის (ოჯახის) მხრიდან	12,5
ლ) ქალთა მოძრაობის და სოლიდარობის არარსებობა	9,5

2.4. საჯარო დისკუსიებში ქალთა მონაწილეობა და ჩართულობის ყველაზე გავრცელებული ფორმები

კვლევის მონაცემებმა ცხადყო საჯარო დისკუსიებში **მოქალაქეთა ჩართულობის საკმაოდ დაბალი ხარისხი.** გამოკითხულთა ნახევარზე მეტს - **50,5%-ს საზოგადოებრივი მნიშვნელობის ან მოსახლეობისთვის პრიორიტეტული საჭიროებების განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია. მონაწილეობა მიუღია** მხოლოდ 39,2%-ს**,** მათ შორის დაახლოებით თანაბარად არის განაწილებული კაცებისა (40%) და ქალების (38%) რაოდენობა. გამოკითხულ დევნილთა მესამედზე მეტს ასევე აქვს საჯარო დისკუსიებში მონაწილეობის გამოცდილება (37%). **არასოდეს სმენია ასეთი შესაძლებლობის შესახებ რესპონდენტთა 10,4%-ს**. ასაკობრივ ჭრილში ჩართულობის კუთხით მეტად გამოირჩევიან +65 წლის ასაკის ხანდაზმულები (61%), 18-30 წწ. (40%) და 31-45 წწ. (40%) ასაკობრივი კატეგორია. ყველაზე ნაკლებად არიან ჩართულნი 56-64 წწ. ასაკის მოქალაქეები (22%). თვისებრივი კვლევის მონაწილეები ხაზს **უსვამდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების როლს** დისკუსიების მოწყობაში და მოსახლეობის საჭიროებებითა და მათ წინაშე არსებული პრობლემებით დაინტერესებაში. ხაზი გაესვა ქალთა ფონდი „სოხუმის“ შეხვედრებს, რომლებიც მათი აზრით - ***„არასდროსაა „შეხვედრა - შეხვედრისთვის“*** (ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები, ხონის მუნიციპალიტეტი).

რაოდენობრივ კვლევაშიც **არასამთავრობო სექტორი შედარებით მეტმა რესპონდენტმა დაასახელა საჯარო განხილვების ინიციატორად** (36,8%), ხოლო რიგით მეორე ამ მიმართებაში ადგილობრივი ხელისუფლებაა (19,2%). მოსახლეობასთან შეხვედრების და განხილვების ორგანიზების თვალსაზრისით **ყველაზე ნაკლებად დასახელდა ცენტრალური ხელისუფლება (10,2%)** (დეტალურად იხილეთ დიაგრამა №4).

დიაგრამა №4



რაც შეეხება საჯარო დისკუსიებში მოსახლეობის ჩართულობის და მონაწილეობის სასურველ ფორმებს, რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით გამოიკვეთა ჩართულობის

სასურველი 3 ძირითადი ფორმა: **შეხვედრები მოსახლეობის საჭიროებების შესასწავლად - (62.8%); შეხვედრები სოფლებში ან თემებში ადგილობრივ ხელისუფლებასთან** - (50,5%), **ჩართულობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან არსებულ სამოქალაქო საბჭოებში ადგილობრივი პრობლემების განხილვის მიზნით** (26.5%). გამოკითხულთა მეოთხედზე ოდნავ მეტი მიუთითებს ადგილობრივი/ცენტრალური პროგრამებისა და ბიუჯეტის განხილვას ხელისუფლების წარმომადგენლებთან (25.1%).

თვისებრივი კვლევის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს **საკრებულოს სხდომებსა და სოფლის კრებებზე დასწრების მნიშვნელობას, „ღია კარის დღის“** დაწესებას მერიებში, რაც, მათი აზრით, გადაწყვეტილებების მიმღებთათვის ხმის მიწვდენის საუკეთესო საშუალებაა და გადაწყვეტილებებზე გავლენის მეტად მომხდენიც. ნახსენები იყო **პეტიციაც,** რაც, კვლევის მონაწილეების აზრით, კარგი ინსტრუმენტია თემისთვის მნიშვნელოვანი საკითხების და გადაწყვეტილებების ინიცირებისთვის.

მონაწილეები ასევე შეეხნენ **მოსახლეობის საჭიროებათა კვლევის** სისტემატიური პრაქტიკის დანერგვის და მოსახლეობის მიერ წამოჭრილი საკითხებზე დროული რეაგირებისა და პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობას - ***„ჩართულობის ბევრი ფორმა არსებობს. მე გამოვყოფ საჭიროებების კვლევას, პრობლემის გამოკვეთა და შემდეგ ამ პრობლემის აღმოფხვრაზე მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანია“*** (ლ.მ., ქალი, 43 წლის, ბიბლიოთეკარი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).

დისკუსიების დროს იმსჯელეს პანდემიის პერიოდში **მონაწილეობის ონლაინ სისტემების დანერგვის** მნიშვნელობაზეც, საამისოდ კი - მოქალაქეთა ციფრული უნარების გაძლიერების საჭიროებაზე.

პრობლემებზე მსჯელობისას ხაზი გაესვა **მოსახლეობის მხრიდან პასიურობას** საჯარო განხილვებში მონაწილეობის მისაღებად - ***„პრობლემა ის არის, რომ არ ვართ აქტიურები თემში, არ ვსაუბრობთ პრობლემებზე ხმამაღლა, ვეგუებით არსებულ ყოფას და არ ვისწრაფვით უკეთესობისკენ“*** (მ.ნ., ქალი, 47 წლის, დიასახლისი, სოფ. წყოუში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი). თუმცა, ამავე დროს, გამოიკვეთა არსებული ინერტულობის მიზეზებიც, მათ შორის **წლობით მოუგვარებელი მძიმე სოციალური პირობები, უნდობლობა და ნიჰილიზმი -** ***„ძალიან რთულ პირობებში უწევთ ადამიანებს ცხოვრება, ყოველდღიურად იბრძვიან გადარჩენისთვის და მათი პრობლემები წლებია მოუგვარებელი... არ სჯერათ, რომ მათი მონაწილეობით რამე შეიცვლება“*** (მ.ჭ., იგპ ქალი, 31 წლის, აქტივისტი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).

2.5. ქალთა მონაწილეობის გაძლიერების ხელშემწყობი ფაქტორები

თვისებრივი კვლევის მონაწილეთა მტკიცებით, **თავად ქალს უნდა ჰქონდეს აქტიურობის სურვილი და ამბიცია**, თუმცა ამისთვის გადამწყვეტი **ოჯახის მხარდაჭერაა**. აღნიშნულს თანაბრად მიუთითებდნენ როგორც ქალი, ასევე მამაკაცი რესპონდენტები - ***„როცა ოჯახიდან იქნება ხელშეწყობა, მაშინ ყველა სხვა სფეროც ხელმისაწვდომი გახდება ქალისთვის“*** (ლ.გ., კაცი, 37 წლის, იურისტი, სოფ. დიდი ნეძი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).

ქალთა მონაწილეობის გაძლიერებისთვის ასევე დასახელდა **შესაბამისი ოჯახური პირობების არსებობა** და ქალის კისერზე აკიდებული ორმაგი ტვირთის თანაბრად განაწილება ოჯახის სხვა წევრებზე - ***„ადამიანი ყოველდღე უნდა განვითარდეს, მაგრამ ჩვენს რეალობაში, როცა ქალი დილით სამსახურში გარბის, შინ დაბრუნებული ოჯახს უვლის, მერე მეურნეობაში გარბის, ან პირუტყვს უვლის, საღამოს თავის მოწესრიგების უნარი ძლივს აქვს შერჩენილი და ინფორმაციის მიღებისა და განვითარების უნარი ფიზიკურად არ რჩება. აუცილებელია ქალისთვის პირობების შექმნა და მისი დახმარება“*** (ი.გ., ქალი, 52 წლის, მათემატიკოსი, ხონი).

რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს **საზოგადოების მხრიდან ქალის გააქტიურების მიმართ მეტი მიმღებლობის აუცილებლობას**. მნიშვნელოვანია მოხდეს მენტალური ცვლილებები, რათა საზოგადოებამ გააცნობიეროს, რომ ***„ქალის საქმე მარტო სამზარეულო არ არის“***. საამისოდ კი აუცილებელია **ლიდერი ქალების წარმატებული მაგალითების დემონსტრირება** და ქალის პოზიტიური როლის ხაზგასმა. მნიშვნელოვანია, ცნობიერების და ინფორმაციული კამპანია მიმართული იყოს მამაკაცებზე - ***„მოისმენენ, ნახავენ და ბევრ რამეს გაიგებენ მამაკაცები და ნაკლებად ექნებათ აქტიური და ლიდერი ქალების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება“*** (ც.ჯ., ქალი, 37 წლის, დაოჯახებული, დასაქმებული, ქუთაისი).

დისკუსიისას გამოიკვეთა მოსაზრება, რომ ქალების გააქტიურებას ხელი უნდა შეუწყოს ხელისუფლებამ, ერთი მხრივ, **გენდერულად სენსიტიური კანონების შემუშავების/არსებულის დახვეწის** და, მეორე მხრივ, **უკვე არსებული კანონებისა და პოლიტიკის ჯეროვნად აღსრულების** გზით - ***„გენდერულ თანასწორობაზე არა მარტო ლაპარაკია საჭირო და თაროზე შემოდებულ კანონებზე მითითება, არამედ მათი განხორციელება ყველა რგოლში, ისე რომ ქალს ყველა მინიჭებული უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა შეექმნას“*** (ნ. ნ., ქალი, 56 წლის, ბაღის პედაგოგი, სოფ. კოკი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).

ხაზგასმული იყო არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ქალებთან შემეცნებითი ხასიათის შეხვედრების, დისკუსიების, ტრენინგების ჩატარების მიმართულებით, სადაც უნდა მოხდეს ქალთა ლიდერული თვისებების გაძლიერება და თვითშეფასების ამაღლება, რათა ირწმუნონ საკუთარი შესაძლებლობები და გააქტიურდნენ, არ შეუშინდნენ საზოგადოებაში ჯერ კიდევ შემორჩენილ სტერეოტიპებს - ***„კარგი იქნება, თუ შეიქმნება „ქალთა კლუბები“, რომელთა მიზანი იქნება „პასიურ“ ქალებთან მუშაობა, მათი დაინტერესება... ისეთ ქალებთან, რომლებსაც სხვადასხვა კულტურულ-ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ბარიერის გამო საზოგადოებრივი აქტიურობის სურვილი არ აქვს, ან ოდესმე ჰქონდა, მაგრამ არსებული გარემოებების გამო თავს იკავებს“*** (მ.ს., ქალი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი, ხონის მუნიციპალიტეტი).

რაოდენობრივი მონაცემები ზუსტად ასახავენ თვისებრივი კვლევისას გამოკვეთილ ტენდენციებს, სადაც გამოკითხულთა უმრავლესობა ხაზს უსვამს - **„კარიერული ზრდისთვის პირობების შექმნის (სტაჟირება, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები) აუცილებლობას“** – 35,5%. აღნიშნულს ქალი და კაცი რესპონდენტები თანაბრად იზიარებენ. გამოკითხულთა მესამედი ასევე თვლის, რომ მნიშვნელოვანია **„მეტი მუშა-**

ობა ქალებთან ლიდერობის თვისებებზე და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მონაწილეობაზე“ - 30%; **საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და სოლიდარობის გაზრდაზე ქალი კანდიდატების მიმართ** მიუთითებს გამოკითხულთა 22,5% (იხილეთ ცხრილი №3).

ცხრილი №3

• **რა შეუწყობდა ხელს ქალთა მონაწილეობის გაზრდას გადაწყვეტილების მიღების დონეზე?**	**%**
კარიერული ზრდისთვის პირობების შექმნა (სტაჟირება, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები)	35,5
მეტი მუშაობა ქალებთან ლიდერობის თვისებებზე და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მონაწილეობაზე	30,1
საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და სოლიდარობის გაზრდა ქალი - კანდიდატების მიმართ	22,5
ქალი - ლიდერების პოპულარიზაცია	7
საზღვარგარეთ განათლების მიღების შესაძლებლობა	5,3

ნაწილი III. ქალთა მონაწილეობა ეკონომიკურ საქმიანობაში

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და მათი ჩართულობის გაზრდა ბიზნეს საქმიანობაში ერთ-ერთი მთავარი გლობალური პრიორიტეტია. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და სამეწარმეო საქმიანობაში ჩართვა წარმოადგენს არა მარტო ქვეყნის ეკონომიკური განვითარების და სიღარიბის დაძლევის მნიშვნელოვან ფაქტორს, არამედ, ასევე ქმნის ქალთა დისკრიმინაციის დაძლევის, თანასწორობის მიღწევის და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის ძირითად წინაპირობას.

წინამდებარე კვლევაში შეფასდა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების შესახებ მოსახლეობის და განსაკუთრებით, ქალთა ინფორმირების დონე, გაანალიზდა ის ბარიერები, რომლებიც აფერხებს ეკონომიკურ საქმიანობაზე მათ ხელმისაწვდომობას და განხილულ იქნა სამეწარმეო საქმიანობაში ქალთა აქტიური მონაწილეობის ხელის შემწყობი ფაქტორები.

3.1. ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო პროგრამების შესახებ ქალთა ინფორმირება და ინფორმაციის მიღების არხები

რაოდენობრივი კვლევის მონაცემების თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობას **აქვს ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობის მიღების სურვილი** (72,2%). სურვილი **არ აქვს** 23% რესპონდენტს, ხოლო, მცდელობის მიუხედავად, ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობა არ გამოუვიდა რესპონდენტთა მხოლოდ 4,8%-ს.

კვლევამ ნათლად გამოკვეთა ქვეყანაში არსებული **ეკონომიკური პროგრამების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი.** გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (53.5%) **არ ფლობს** საკმარის ინფორმაციას ბიზნესის/მეწარმეობის მხარდაჭერის არსებული პროგრამების შესახებ. ინფორმაციის დეფიციტს ადასტურებდნენ ფოკუს-ჯგუფის დისკუსიების რესპონდენტები, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები ქალები, რომლებიც საუბრობდნენ იმაზე, რომ აქვთ იდეები, სურვილი, განახორციელონ მცირე ბიზნესი, გამოიყენონ სოფლად არსებული რესურსები, მაგრამ არ ფლობენ საკმარის ინფორმაციას მეწარმეობის მხარდაჭერის არსებული პროგრამების შესახებ – ***„მაქვს სურვილი, იდეა მცირე ბიზნესის წამოსაწყებად, მაგრამ არ ვიცი, ვის მივმართო იმისათვის, რომ ეს ინფორმაცია მომაწოდონ. სოფლის მოსახლეობა განიცდის ინფორმაციის ნაკლებობას“*** (ნ.ს., ქალი, 37 წლის, დიასახლისი, სოფ. ფახულანი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი). ეკონომიკური პროგრამების შესახებ **ინფორმირებულია გამოკითხულთა** 32,3%, ხოლო ამ **საკითხით არ დაინტერესებულა** 14,2%.

გამოკითხული ქალების უმრავლესობისთვის ყველაზე კარგად ცნობილი პროგრამებია - „აწარმოე საქართველოში“, თუმცა ბიზნესში უკვე ჩართული ან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი რესპონდენტების ნაწილმა დაასახელა საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებით ბიზნესისა და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამებიც, მათ შორის, ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი მეწარმეობის განვითარების პროგრამები, რომელთა სრული ბაზა კონსოლიდირებულია სპეციალურად შექმნილ ვებგვერდზე - „Projects Georgia” https://projects.org.ge/index.php; სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა ENPARD (https://eu4georgia.eu/ka/enpard/). გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), ფარგლებში განხორციელებული პროგრამები.

ეკონომიურ პროგრამებზე **ინფორმაციის ძირითად წყაროს გამოკითხულთა უმრავლესობისთვის -** „ინტერნეტი“ (ვებგვერდები და სოციალური ქსელი) წარმოადგენს - შემთხვევათა 78,5%. „ტელევიზიის და რადიოს“ საშუალებით ინფორმაციას ეცნობა გამოკითხულთა 59,4%. არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორც ინფორმაციის წყარო, დაასახელა რესპონდენტთა მესამედმა (31%). ინფორმაციას „მეზობლებისგან და ნაცნობებისგან“ იღებს გამოკითხულთა 27%. ინფორმაციის მიღების არხად ყველაზე ნაკლებად დასახელდა „სახელმწიფო სტრუქტურები“ – 17% (დეტალურად იხ. დიაგრამა №5). თვისებრივი კვლევის დროს რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ საგრძნობლად **გაუმჯობესდა მოსახლეობის ინფორმირების პრაქტიკა ონლაინ გზით.** ეკონომიკური პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოძიება დღესდღეობით შესაძლებელია სოციალური ქსელების და ვებგვერდების საშუალებით. თუმცა, ამავე დროს ხაზი გაესვა, რომ, მიუხედავად ამისა, ინფორმაციის ინტერნეტ რესურსებზე წვდომა საკმაოდ შეზღუდული აქვთ მოსახლეობის ცალკეულ კატეგორიებს, მათ შორის სოციალურად დაუცველ და მოწყვლად ჯგუფებს, ხანდაზმულებს და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას, რაც განპირობებულია ცალკეულ დასახლებებში ინტერნეტის სუსტი დაფარვით, შესაბამისი ტექნოლოგიების არქონით ან/და სუსტი ციფრული უნარ-ჩვევებით. შესაბამისად, ინფორმაციის მიღების სასურველ და მისაღებ ფორმად კვლავ განიხილება **საინფორმაციო ფურცლები და ბუკლეტები და მოსახლეობასთან უშუალო შეხვედრები -**

„მე პირადად ჩართული ვარ მეწარმეობაში და მაქვს საკმარისი ინფორმაცია, როგორც სოციალური ქსელებიდან, ასევე ადგილობრივ დონეზე. მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ყველას არ მიუწვდება ხელი ამ ყველაფერზე და ხშირად რჩებიან ინფორმაციის გარეშე. მაგალითად, მე სოციალური ქსელიდან გავიგე იმ პროგრამის შესახებ, რომელშიც გავიმარჯვე და ბოსელი უნდა ამიშენონ გაზაფხულზე. სწორედ ასე გავიგე ფონდი „ტასოს“ შესახებაც და მივაწოდე ბევრ ქალბატონს ინფორმაცია. თუმცა ამას უშუალოდ უნდა აკეთებდნენ ადამიანები, რომლებიც აცხადებენ პროგრამებს, იქნება ეს ხელისუფლების წარმომადგენლები თუ არასამთავრობო ორგანიზაციები...” (დ.ჯ., 47 წლის, ბაღის გამგე, სოფ. ფახულანი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი).

3.2. ეკონომიკურ პროგრამებზე ხელმისაწვდომობის ბარიერები

კვლევის პროცესში საკმაოდ ნათლად გამოიკვეთა ის ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის მოსახლეობას ეკონომიკური პროგრამებისადმი წვდომას და ბიზნეს/სამეწარმეო საქმიანობაში ჩართვას.

თვისებრივი კვლევის თანახმად, **ბარიერები ქალისა და მამაკაცის თანასწორობის კუთხით ყველგანაა და ბიზნესშიც ასევეა.** ერთ-ერთ წინაღობად **გენდერული სტერეოტიპები და საზოგადოების მხრიდან ქალის შესაძლებლობების დაკნინება** მიიჩნევა. ქალი რესპონდენტები უთითებენ, რომ ქალისთვის დაბრკოლებად შეიძლება იქცეს ისიც, რომ **ოჯახზე და ბავშვებზე ზრუნვის სრული პასუხისმგებლობა** მასზეა გადასული, მაშინ, როცა ოჯახის სხვა წევრების ნაკლები თანადგომა აქვთ - *„ქალისთვის ოჯახია პირველ რიგში... სახლიდან ვერ გადის, რადგან ბავშვები ჰყავს მოსავლელი და ვერ ტოვებს ბავშვებს... დამხმარე ხშირად არ ჰყავს... თუ გავიდა სახლიდან და საქმეს მთელ დროს დაუთმობს, სხვანაირად შეხედავს საზოგადოება“* (ე.ხ., იგპ ქალი, 39 წლის, დიასახლისი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).

გარდა ამისა, ბავშვთა მოვლის უფასო სერვისების არასაკმარისი რაოდენობა, რომელიც მორგებული იქნებოდა დასაქმებული დედის სამუშაო გრაფიკზე (ბავშვის მოვლის/ზრუნვის გახანგრძლივებული სერვისების არარსებობა სკოლებსა და ბაღებში, საზაფხულო ბაღების და სკოლების არარსებობა, არასაკმარისი ბავშვთა მოვლის დღის და საღამოს ცენტრები) ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილე მამაკაცი რესპონდენტების აზრით, მოქალაქეთა უმეტეს ნაწილს არა აქვს საშუალება, თავისი სახსრებით დაიწყოს ბიზნეს საქმიანობა **სახსრების არარსებიბის გამო.** არსებული **კრედიტების მაღალი საპროცენტო განაკვეთი** ბევრ ადამიანს უკარგავს ყოველგვარ მოტივაციას სამეწარმეო საქმიანობის წამოწყებისთვის - *„ბანკებიდან აღებული სესხის პროცენტი იმდენად მაღალია, რომ ხშირ შემთხვევაში ეს არ იძლევა ბიზნესის სათანადოდ ამოქმედების და განვითარების შესაძლებლობას“* (ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები, ქუთაისი), რაც განაპირობებს ბიზნესის წამოსაწყებად სესხის აღებისგან თავის შეკავებას. *„მე რომ მინდოდეს ბიზნესის გაფართოება, როგორც მცირე მეწარმეს, არ მაქვს დაბალპროცენტიანი სესხის შემოთა-*

ვაზება. იმხელა პროცენტებია ბანკებში“ (ნ. ქ., ქალი, 45 წლის, მეფუტკრე, სოფ. კოკი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).

ეკონომიკურ პროგრამაში მონაწილეობისთვის [მაგ., „აწარმოე საქართველო“] **თანადაფინანსების მოთხოვნაც** ასევე დასახელდა ბიზნესში ჩართვის მნიშვნელოვან ბარიერად, რადგან მოსახლეობის უმრავლესობას არ შესწევს უნარი, თავად დაუმატოს ბიზნესისთვის საჭირო თანხა.

რესპონდენტები უთითებდნენ, რომ ეკონომიკური საქმიანობის წამოწყებისგან თავის შეკავება ხშირად განპირობებულია **სოციალური სტატუსის დაკარგვის შიშით. არაპროგნოზირებადი ბიზნეს გარემოს** პირობებში, ეკონომიკურ პროგრამაში ჩართვისთანავე სოციალური დაცვის გარანტიის შეწყვეტა საკმაოდ აქვეითებს აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეობის მოტივაციას - ***„პირადად მე ვარ სოციალურად დაუცველი და დევნილიც. თუ დავიწყებ რამე საქმიანობას, მაშინვე შემიწყდება ის დახმარებები, რომელთაც ვიღებ. კარგი იქნებოდა, რომ გარკვეული პერიოდი არ შეწყდეს ეს დახმარებები. იქნებ საერთოდ ვერ განვახორციელე ჩემი საქმიანობა. ეს მართლაც ხელის შემშლელი ფაქტორია*** (ქალი, 32 წლის, თვითდასაქმებული, სოფ. წყოუში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი).

კვლევამ ასევე გამოკვეთა ეკონომიკურ პროგრამებში მონაწილეობისთვის **სათანადო ცოდნის საჭიროება.** რესპონდენტების თქმით, მაშინაც კი, როცა პროექტებზე ინფორმაციას იღებენ, **არ აქვთ სათანადო ცოდნა ბიზნეს-პროექტის დასაწერად.** აღინიშნა სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობისთვის ისეთი **საკონსულტაციო ცენტრების შეთავაზება,** თუნდაც თვითმმართველობების ბაზაზე, რომლებიც მსურველებს გაუწევდნენ კონსულტაციებს ეკონომიკური პროგრამების პირობების და სარგებლიანობის შესახებ და აღმოუჩენდნენ დახმარებას საკონკურსო განაცხადების/ბიზნეს გეგმების შევსებაში. დისკუსიების დროს მოყვანილ იქნა მაგალითები, როცა თვითმმართველობის წარმომადგენლების და სამოქალაქო აქტივისტების დახმარებით დაწერეს ბიზნეს-პროექტი, რომელიც წარმატებული აღმოჩნდა, რასაც დამოუკიდებლად თავს ვერ გაართმევდნენ (ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები, ხონის მუნიციპალიტეტი).

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ქალთა დიდი ნაწილი, ადგილებზე უპერსპექტივობის გამო, **საზღვარგარეთ შრომით მიგრაციას არჩევს -** ***„ქალების დიდი ნაწილი იძულებულია, საზღვარგარეთ წავიდეს, რომ შვილებს პირობები შეუქმნას, თუნდაც სწავლის გადასახადი გადაუხადოს“*** (ქალების ფოკუს-ჯგუფი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი). დისკუსიის მონაწილე ქალებს არ დაუმალავთ განწყობა, რომ თავად განიხილავენ საზღვარგარეთ დასაქმების შესაძლებლობას. მიზეზად საქართველოში მათი **დასაქმების ნაკლები შესაძლებლობა და შრომის დაბალი ანაზღაურება დასახელდა.**

ასევე აღინიშნა **ბიზნესის გაფართოებისთვის არახელსაყრელი გარემო და ამ მხრივ სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის არარსებობა, რაც აღნიშნული პროგრამების მიმართ სკეპტიციზმს და უნდობლობას აჩენს. ერთ-ერთმა** დევნილმა ქალმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მას უარი ეთქვა ბიზნეს პროექტის დაფინანსებაზე, რომელიც არსებული ბიზნესის გაფართოებისთვის იყო გამიზნული, რადგან თავდაპირველად სამეწარმეო საქმიანობისთვის მხარდაჭერა **არასამთავრობო ორგანიზაციისგან მიიღო**

- *„მე ცენტრმა „აფხაზეთმა“ დამიფინანსა სასალონე მომსახურების პროგრამა. გავიარე კურსები, მივიღე პროფესია, ავიღე სერთიფიკატი, რის შემდეგ გადმომცეს ხელსაწყოები ბიზნესის წამოსაწყებად. პატარა ბიზნესი რომ დამეწყო, ამისთვის მჭირდებოდა დამატებითი ნივთები. ვნახე, რომ დევნილთა და ეკომიგრანტთა სააგენტოს ედო საიტზე ინფორმაცია ბიზნეს კონკურსის შესახებ. შევავსე განაცხადი, გავაკეთე პროექტი, გავაგზავნე და მომივიდა უარი, დამირეკეს და მითხრეს, რომ თქვენ არასამთავრობო ორგანიზაციებმა დაგაფინანსეს, იმათი ბეჭდები აქვს თქვენს სერთიფიკატს და ჩვენ ვერ დაგიფინანსებთო... ეს უსამართლობა არ არის?!“* (ს.დ., ქალი, 34 წლის, დევნილი, სოფ. კახათი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი). შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ბიზნეს იდეებისთვის სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი საგრანტო თანხა, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ მცირეა და ბიზნესის გასაძლიერებლად თუ შემოსავლის გაზრდისთვის ადამიანს, შესაძლოა, დამატებით დასჭირდეს დახმარება. *„პირადად მქონდა სოკოს ბიზნესი და მსურდა გაფართოება, მაგრამ არ დამიფინანსეს, ვფიქრობ, რომ აქ შერჩევითი სამართალი იყო“* (ვ. გ., ქალი, 59 წლის, დიასახლისი, სოფ. კოკი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).

კვლევის მონაწილეთა თქმით, **საგრანტო პროგრამებისთვის გამოყოფილი შეზღუდული ფონდები** მნიშვნელოვნად ამცირებს დევნილთა მოტივაციას, რადგან მაღალი კონკურენციის პირობებში, ბიზნეს პროექტების დიდი ნაწილი უარყოფილია და ეს ზრდის **ნიჰილიზმს და უიმედობას** გამარჯვების შანსების მიმართ - *„არანაირი ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობა დღეს ჩვენს ქვეყანაში არ არის. დაბრკოლებაა ნეპოტიზმი და კორუფცია ყველა სფეროში... მე მინდა მქონდეს ჩემი პატარა საქმე, საიდანაც დამატებითი შემოსავლის მიღება შემეძლება, მაგრამ ამდენ ძიებაში და პროექტის წარუმატებლობაში გული ამიცრუვდა“* (ფ.შ., ქალი, 59 წლის, ბაღის აღმზრდელი, სოფ. კოკი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).

ქალები საუბარში ასევე აღნიშნავდნენ, რომ მათ, ძირითადად, კონკურსში წარუმატებელი მაგალითები ესმით, მოტივაციის გასაზრდელად კი მნიშვნელოვანია **წარმატებული მაგალითების პოპულარიზაცია, იმ ქალების გაცნობა და მათთან შეხვედრები, ვინც ბიზნეს გრანტების მოპოვება** და საკუთარი ბიზნესის წარმატებით მართვა შეძლო - *„სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა ვიღაც რაღაც პროგრამაში იყო ჩართული, დაწერა ბიზნეს-გეგმა, მერე არ დააფინანსეს. ასეთი ნეგატიური მაგალითები უცებ ვრცელდება და სხვებზეც ცუდ გავლენას ახდენს. ხალხსაც ხელი აქვს ჩაქნეული. პოზიტიური მაგალითები ფართოდ უნდა გავრცელდეს. ის, ვინც დაფინანსდა, მაგალითად, რითი იყო გამორჩეული, რითი განსხვავდებოდა სხვებისგან, ეს აამაღლებს მოსახლეობაში ინტერესს და პროგრამაში მეორედ მონაწილეობის სურვილი არ გაუქრებათ“* (ნ.შ., ქალი, 65 წლის, დევნილი, სოფ. კოკი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).

მნიშვნელოვან წინაღობად ასევე დასახელდა პროგრამაში ჩასართავად კონკურსის **კრიტერიუმები**, მათ შორის ასაკობრივი ცენზი კონკურსში მონაწილეობისთვის, ასევე განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფთან (შშმ, სოციალურად დაუცველის ან ძალადობის მსხვერპლის სტატუსი და ა.შ.) კუთვნილების მოთხოვნა, რაც რესპონდენტების აზრით, მნიშვნელოვნად ზღუდავს ბევრი დაინტერესებული ქალის მონაწილეობას ეკონომიკურ პროგრამებში.

ქალებისთვის ზოგიერთ ეკონომიკურ პროგრამაში მონაწილეობის ბარიერს წარმოადგენს **მიწის ნაკვეთის ფლობის კრიტერიუმი,** განსაკუთრებით დევნილებისთვის, რომელთა დიდ ნაწილს მიწა საკუთრებაში არ გააჩნია. ქალები ზოგადად უფრო იშვიათად წარმოადგენენ მიწის აქტივის მესაკუთრეს, განსაკუთრებით სოფლებში, სადაც გენდერული უთანასწორობა ყველაზე მეტადაა გამოხატული.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები თანხვედრაშია თვისებრივი კვლევის მონაცემებთან. ეკონომიკური გაძლიერების **შემაფერხებელ ძირითად ფაქტორებად** აღინიშნა **ბიზნესის განვითარებისთვის არასაკმარისი დაფინანსება** (შემთხვევათა 43.5%); **არასაკმარისი ინფორმაცია** ბიზნეს საქმიანობის ხელშემწყობი პროგრამების შესახებ (შემთხვევათა 55,9%); **სარისკო ბიზნეს-გარემო (შემთხვევათა 44%);** ასევე გამოიკვეთა **ეკონომიკური საქმიანობის დასაწყებად უნარების ნაკლებობა** (მაგ., ბიზნეს გეგმების შედგენა და ბიზნესის წარმართვა - შემთხვევათა 41%); **ბიზნეს გეგმების შემუშავებისა და ბიზნესის წარმოებისათვის საკონსულტაციო მომსახურების არარსებობა** (შემთხვევათა 22,3%); კონკურსში მონაწილეობისათვის არსებული **კრიტერიუმები** (მაგ., **ბიზნესის თანადაფინანსების მოთხოვნა, ქონების/მიწის აქტივის მესაკუთრეობა, გრანტის მიღებისას სოციალური შემწეობის შეჩერება** - შემთხვევათა 20%); (დეტალურად იხ. დიაგრამა №5).

დიაგრამა №5

რა ბარიერები უშლის ხელს ქალებსა და მამაკაცებს ეკონომიკური/ბიზნეს საქმიანობის დაწყებაში (გამოყავით 3 ძირითადი ბარიერი)?



3.3. მოსახლეობისთვის პრიორიტეტული ბიზნეს სფეროები და ეკონომიკური საქმიანობის ხელის შემწყობი ფაქტორები

თვისებრივ კვლევაში ქალი რესპონდენტების ჩამონათვალი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო: სავაჭრო ცენტრი; კომპიუტერული ცენტრი; სასათბურე მეურნეობა; აგროტურიზმი; ლამინატის კარ-ფანჯრების წარმოება; საკონდიტრო და საცხობი; საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, სადაც თავმოყრილი იქნება მრავალფეროვანი სერვისი, მათ შორის სამკერვალო, სილამაზის სალონი, სახელოსნო, რაც დეფიციტური სერვისების პირობებში განსაკუთრებით პრიორიტეტულია სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის.

ასევე საინტერესო სფეროები დასახელდა მამაკაცი რესპონდენტების მხრიდანაც, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ მესაქონლეობის ფერმის განვითარებას, ხე-ტყის გადამამუშავებელ საწარმოს, თხილის, დაფნის განაშენიანებას, სასათბურე მეურნეობას, ტურიზმს (ავტოგაქირავება ტურისტებისთვის, გასტრონომია - ეთნო ბარ-რესტორანი, სასტუმრო, კაფე და ა.შ.); სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის გახსნას.

თვისებრივი მონაცემები მკაფიოდ მეტყველებს ქალების და მამაკაცების მხრიდან ბიზნეს სფეროების არჩევისას ჰორიზონტალურ სეგრეგაციაზე, ანუ **ბიზნეს სფეროების „ქალურ“ და „მამაკაცურ“ სფეროებად დაყოფის ტენდენციაზე.**

რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით, ბიზნესისთვის ყველაზე სასურველ სფეროდ რესპონდენტებს შორის დასახელდა **სავაჭრო მომსახურება** (მაღაზიები) -25%, **საზოგადოებრივი კვების ობიექტები (კაფე-ბარი, რესტორანი, საკონდიტრო მაღაზიები და ა.შ.)** - 15% და **ტურისტული ბიზნესი** (გიდობა, სატრანსპორტო მომსახურება, ექსკურსიების ორგანიზება და ა.შ.) - 14% (დეტალურად ცხრილი №4).

ცხრილი №4

ეკონომიკური საქმიანობის რომელი სფეროა უფრო მეტად საინტერესო თქვენთვის?	
სფერო	სულ %
სავაჭრო მომსახურება (მაღაზია)	25%
ონლაინ მაღაზია	8.6%
საზოგადოებრივი კვების ობიექტები (კაფე-ბარი, რესტორანი, საკონდიტრო მაღაზია)	15%
სასტუმრო ბიზნესი	10,4%
ტურისტული ბიზნესი (გიდობა, სატრანსპორტო მომსახურება, ექსკურსიების ორგანიზება)	14,2%
სამკაულების და საიუველირო ნაკეთობების დამზადება	3,5%
ციფრული და საყოფაცხოვრებო ტექნიკის სარემონტო მომსახურება	6,2%
მიტანის სერვისი	2%
გასართობი ცენტრი (საბავშვო/ახალგაზრდული)	6,5%
სამკერვალო სალონი/ატელიე	6,2%

ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობის ხელშესაწყობად და ხელსაყრელი გარემო პირობების შესაქმნელად, გამოკითხულთა უმრავლესობამ ხაზი გაუსვა **მცირე ბიზნესის ხელშეწყობისა და განვითარების გრანტებით** უზრუნველყოფის აუცილებლობას (შემთხვევათა 62,5%) და **ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას** (შემთხვევათა 54,5%). პრიორიტეტად ასევე თვლიან **სესხების გაცემას დაბალი საპროცენტო განაკვეთით** (შემთხვევათა 48.4%). **მოსახლეობის ინფორმირების აუცილებლობას** მნიშვნელოვნად მიიჩნევს გამოკითხულთა 38,5% (დეტალურად იხ. დიაგრამა №6).

დიაგრამა №6

თქვენი აზრით, რამ შეიძლება შეუწყოს ხელი ქალებისა და მამაკაცების ჩართულობას ბიზნეს / ეკონომიკურ საქმიანობაში? (გამოყავით 3 პრიორიტეტული პასუხი)



თვისებრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა თანახმად, ეკონომიკური პროგრამების ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია ბენეფიციართა **მეწარმეობრივი უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო კურსის შეთავაზება** და ასევე შესაბა-

მისი **ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა,** რაც დაეხმარებათ მიღებული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზაციაში. გამოითქვა აზრი **დამწყები მეწარმის გადასახადებისგან განთავისუფლების საჭიროების შესახებ** - ***„იმისთვის, რომ უფრო ხელმისაწვდომი გახდეს ბიზნესის წარმოება საქართველოში, გადასახადებისგან უნდა განთავისუფლდეს მეწარმე და მიეცეს ხელმისაწვდომი და დაბალპროცენტიანი სესხები“*** (ე. ძ., ქალი, 58 წლის, მცირე მეწარმე, სოფ. კოკი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).

რესპონდენტებმა ასევე მიუთითეს **ბანკის სესხებზე ნაკლები საპროცენტო განაკვეთის აუცილებელობაზე,** რადგან ბიზნესის დაწყება რისკებთანაა დაკავშირებული, ხოლო მაღალი პროცენტის გადახდა პირველ ეტაპზე არასაკმარისად განვითარებული და არამომგებიანი ბიზნესისთვის ძალიან მძიმე ტვირთად აწვებათ მეწარმეებს და ხშირად საქმის ჩავარდნასაც განაპირობებს.

ნაწილი IV. დასკვნა

საზოგადოებაში გენდერული სტერეოტიპების და ტრადიციული პატრიარქალური ნორმების შესამჩნევი რღვევის მიუხედავად, კვლავაც შენარჩუნებულია არასამართლიანი დამოკიდებულებები ქალთა ლიდერობის, მათი საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში როლის გაზრდის თვალსაზრისით. ბავშვზე და ოჯახზე ზრუნვა ქალის ძირითად მოვალეობად განიხილება, რაც მნიშვნელოვნად აბრკოლებს ქალების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვას, აძლიერებს გენდერულ დაყოფას და უსაზღვრავს ქალებს შესაბამის როლს და მდგომარეობას: ქალი - ოჯახზე პასუხისმგებელი და კაცი - მარჩენალი.

არ ხდება ოჯახში ქალის აუნაზღურებელი შრომის სათანადო დაფასება და დათვლა. ქალს ოჯახი „არ უშლის“ აქტიური სამოქალაქო და ეკონომიკური როლის შეთავსებას, იმ პირობით, თუ ის პარალელურად ახერხებს ყველა თავისი საოჯახო ვალდებულების პირნათლად შესრულებას, რაც ქალის მიმართ მკაფიოდ დისკრიმინაციულია და ემყარება შრომის არასამართლიანი დანაწილების პრინციპებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ქალაქსა თუ სოფელში, საოჯახო აუნაზღაურებელი სამუშაოს ტვირთის თანასწორად გაზიარება ორივე სქესის მიერ, რათა ქალს არ მოუწიოს არჩევანის გაკეთება კარიერასა და ოჯახს შორის.

ქალების მხრიდან საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ აქტიურობას და საკუთარი ბიზნესის დაწყებას ასევე აფერხებს შესაბამისი სოციალური ინფრასტრუქტურის არარსებობა (მაგ., ბავშვთა მოვლის მოქნილი სერვისები), ოჯახის არასაკმარისი მხარდაჭერა, მოუქნელი სამუშაო გრაფიკი, ფინანსური რესურსების სიმწირე.

კვლევის პროცესში არაერთგვაროვნად შეფასდა სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობად სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები. გამოიკვეთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების და მათი პირობების შესახებ მოსახლეობის არასათანადოდ ინფორმირების პრობლემა; ბიზნეს-პროექტების დასაწერად მოსახლე-

ობისთვის შესაბამისი კონსულტაციების გაწევის არასათანადო პრაქტიკა ან მისი არარსებობა; საკონკურსო პირობებში ჩადებული კრიტერიუმები, რაც კიდევ უფრო ართულებს ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობას (მაგალითად, თანადაფინანსების მოთხოვნა, მიწის აქტივის მესაკუთრეობის დადასტურება, მაღალი სოციალური ქულა და გრანტის მოპოვებისას სოციალური სტატუსის და შემწეობის ავტომატურად დაკარგვა და ა.შ.). ყველა ეს ბარიერი მნიშვნელოვნად აფერხებს და ასუსტებს ქალების მოტივაციას, ჩაერთონ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ პროგრამებში.

საზოგადოებრივ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ასპარეზზე აქტიური მონაწილეობისთვის ქალთა წინაშე წარმოქმნილი ბარიერები და გარემოებები ხშირ შემთხვევაში არ არის ჯეროვნად ასახული ხელისუფლების პოლიტიკასა და ქმედებებში, ერთი მხრივ, სუსტი ინსტიტუციური შესაძლებლობების მიზეზით, თუმცა მეტწილად - შესაბამისი პოლიტიკური ნების არარსებობის გამო.

არ არსებობს მარტივი გამოსავალი არსებული გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, სადაც გენდერული უთანასწორობა ღრმად არის ფესვგადგმული კულტურულ და სოციალურ ნორმებში, რასაც ერთვის რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სოციალური სერვისების მიწოდების დეფიციტი.

გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად და ქალების ყველა ასპარეზზე მონაწილეობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ყველა დაინტერესებული პირის, მათ შორის **ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, კერძო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კოორდინირებული მოქმედებების და ნაბიჯების გადადგმა,** რაც განზოგადებული სახით მოყვანილია რეკომენდაციების სახით შემდეგ ქვეთავში.

ნაწილი V. რეკომენდაციები

- **ცნობიერების ამაღლების კამპანიების აქტიური წარმოება:** ქალისა და მამაკაცის კულტურულად განპირობებული როლების და მასთან დაკავშირებული გაბატონებული სტერეოტიპებისადმი დამოკიდებულებების შეცვლის მიზნით. კამპანიის დაგეგმვისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამიზნე უნდა იყოს დამსაქმებლების მგრძნობელობის გაზრდა გენდერული საკითხების მიმართ;
- **ქალის, როგორც წარმატებული ლიდერის მიმართ, საზოგადოებრივი მიმღებლობის გაზრდა,** წარმატებული ისტორიების დემონსტრირების გზით. კამპანიის წარმოებისას მნიშვნელოვანია ქალის, როგორც მშვიდობის და კონფლიქტის დეესკალაციის ინიციატორის, როლის ხაზგასმა. ასევე, პოლიტიკის დაბალანსების და გენდერულად სპეციფიკურ საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე მეტად ორიენტირების უნარებზე ფოკუსირება;

- **ქალთა გააქტიურების და თვითშეფასების ამაღლების გაზრდის მიზნით** (საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვისთვის) სპეციალური პროგრამების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს ქალთა ინიციატივების გამოვლენას (მაგ.: სტაჟირება, კვალიფიკაციის ამაღლების კურსი, ქალთა კლუბების შექმნა „პასიური" ქალების მოსაზიდად და ა.შ.);
- ქალის პოლიტიკურ, სოციალურ თუ **ეკონომიკურ გაძლიერებაზე და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე** ფოკუსირება და მათი პროფესიული რეალიზების და განვითარების გზაზე არსებული სტრუქტურული ბარიერების აღმოფხვრაზე ორიენტირებული მიზანმიმართული და ქმედითი პოლიტიკის წარმართვა;
- **გენდერული თანასწორობის და ეკონომიკური გაძლიერების პოლიტიკის დაგეგმვის, შემუშავების და განხორციელების პროცესში, ქალების მოწყვლადი ჯგუფების** (მაგ., დევნილები, კონფლიქტის გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები ქალები, ძალადობის მსხვერპლნი, მარტოხელა დედები და ა.შ.) **სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინება;**
- **არსებული ეკონომიკური გაძლიერების განხორციელებული პროგრამების გენდერული სტატისტიკის წარმოება და აღნიშნული პროგრამების გენდერული ეფექტის შესწავლა:** მნიშვნელოვანია ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით მომუშავე ყველა უწყებამ აწარმოოს მის მიერ განხორციელებული ეკონომიკური პროგრამების **გენდერული სტატისტიკა და დანერგოს დაფინანსებული პროექტების გენდერულ ჭრილში მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, ინტერსექციული მიდგომის გამოყენებით** (სასურველია ქალთა მრავალფეროვანი სოციალური ჯგუფების გამიჯვნა, მაგ., დევნილი, ძალადობის მსხვერპლი, მარტოხელა დედა, ახალგაზრდები, შშმ პირი, ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობები და ა.შ.), რათა შესაძლებელი გახდეს ქალებზე არსებული პროგრამების ზეგავლენის მასშტაბების შეფასება და გაანალიზება. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი უწყებების ვებგვერდებზე;
- **ქალთა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისათვის შეღავათიანი ბიზნეს გარემოს შექმნა,** მათ შორის ქალებზე ორიენტირებული ბიზნეს პროექტების მხარდაჭერა, მცირე გრანტებით უზრუნველყოფის, ბიზნეს უნარ-ჩვევების განვითარების და პროფესიული ტრენინგების ჩატარების გზით; გარდა ამისა, დამწყები მცირე მეწარმეების, მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში გადასახადებისგან განთავისუფლება, სოციალური სტატუსის შენარჩუნება; ასევე თანადაფინანსების, მიწის მესაკუთრეობის მოთხოვნის, ასაკობრივი შეზღუდვების გაუქმება;

- **ეკონომიკური პროგრამების შესახებ ქალთა ინფორმირება და კონსულტაციების გაწევა**: ეკონომიკური გაძლიერების პროექტებში ქალების დაინტერესების მიზნით, დაინერგოს შესაბამისი საკონსულტაციო სერვის-ცენტრები (შესაძლოა მუნიციპალიტეტების ბაზაზე), რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობისთვის სახელმწიფო თუ ადგილობრივი ეკონომიკური პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და კონკურსის პირობების დეტალურ ახსნას და განაცხადის შევსებაში პრაქტიკული დახმარების გაწევას. ასევე სასურველია ქალი მეწარმეებისთვის დახმარების გაწევა ადგილობრივად რენტაბელური ბიზნეს სფეროების არჩევაში, რომელიც მეტ-ნაკლებად აქტუალურია შესაბამისი ადგილისთვის და შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს;
- **ქალთა აქტიური საზოგადოებრივი, პოლიტიკური თუ ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირებისთვის შესაბამისი სოციალური სერვისების განვითარება, მათ შორის ბავშვთა მოვლის** სერვისებიც, რაც მრავალკომპონენტიანია და მოიცავს, მაგ.: მუნიციპალიტეტის მიერ შემწეობის გაცემას, დღის და საღამოს ცენტრების თანა/დაფინანსებას, ბაღებსა და სკოლებში გახანგრძლივებული და საზაფხულო ჯგუფების გახსნას, ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილებების და ბავშვთა ოთახების შექმნას/განვითარებას მუნიციპალიტეტის ბაზაზე, დასაქმებული დედების საჭიროებებზე მორგებული სამუშაო გრაფიკის დანერგვის ხელშეწყობას და ა.შ.;
- **პარტნიორობის სისტემის დანერგვა საბანკო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან** და მათთან თანამშრომლობით ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე ორიენტირებული სპეციალური პროგრამების შემუშავება, რაც **გაზრდის ქალთა წვდომას ფინანსურ რესურსებზე, იაფ და ხელმისაწვდომ კრედიტებზე**. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ კუთხით ადგილობრივი თვითმმართველობის როლის და მნიშვნელობის გაზრდა და მსგავსი პროგრამების ადმინისტრირების ადგილობრივი პრაქტიკის დანერგვა.

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

საჭიროებათა შეფასების ანალიზზე და საბოლოო შემაჯამებელ ანგარიშზე მუშაობდა -

ეკატერინე გამახარია

მუნიციპალიტეტების მონაცემების შეჯამებაზე მუშაობდნენ:

გურანდა გვანცელაძე, ნინო კორინთელი,

ანჟელა ჩიხლაძე, ემა კამკია

რედაქტორი - ლალი შენგელია

დამკაბადონებელი - ლია კოსტავა

მისამართები:

ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6

ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №29 ბ, საოფისე ფართი №2

ელფოსტა: womansukhumi@gmail.com

fundsukhumitbilisi@gmail.com

ვებგვერდი: www.fsokhumi.ge

ფეისბუქგვერდი: www.facebook.com/fsokhumi/